ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2761076

ნომერი: AR1426446

თარიღი : 27.07.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 25.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 78 , (ნაკვეთი 04/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ინგა ბუხრაშვილი პ/ნ 01026013417
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 9 ბ. 162

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს.საბა+ კოდი: 205092647

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 27/07/2016 წლის AR1426446 განცხადებით მომართა ინგა ბუხრაშვილმა და მოითხოვა 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად შპს "საბა+" (ს/კ205092647)-თან ერთად შპს "აი ენდ აი"-ს (ს/კ405158653) დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებით ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი, N78, (ნაკვეთი 04/022), შპს "საბა+"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.12.01.004.022) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის "A" და "B" ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 07 მარტიდან 2016 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადიმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია შპს ,,საბა+" (დირექტორი - ინგა ბუხრაშვილი). განმცხადებელი ითხოვს 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებაში შპს "საბა+" (ს/კ205092647)-თან ერთად შპს "აი ენდ აი"- ს (ს/კ405158653, დირექტორი: ირმა ბუხრაშვილი) დაფიქსირებას.
27/07/2016 წლის AR1426446 განცხადებით წარმოდგენილია შპს ,,საბა+"-სა და შპს "აი ენდ აი"- ს შორის დადებული 2016 წლის 19 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის განვადების ხელშეკრულება. ასევე წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული შპს "აი ენდ აი"- ს დირექტორის, ირმა ბუხრაშვილის თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. #78-ში (ს.კ.N 01.12.01.004.022) მდებარე მშენებარე ობიექტის მშენებლობის ნებართვაში თანაგანმცხადებლად დაფიქსირების თაობაზე.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს მოთხოვნა და 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებაში დამკვეთად შპს "საბა+" (ს/კ205092647)-თან ერთად დააფიქსიროს შპს "აი ენდ აი" (ს/კ405158653).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და"მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილებაქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებაში დადამკვეთად შპს "საბა+" (დირექტორი - ინგა ბუხრაშვილი)-თან ერთად დაფიქსირდეს შპს "აი ენდ აი" (დირექტორი- ირმა ბუხრაშვილი).
2. წინამდებარე ბრძანებაგანხილული იქნასქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2016 წლის №2468193 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში(მის: ქ. თბილისი, შარტავასქუჩა #7) მისიოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.